



# ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



## განკარგულება № 151

2011წლის 28 ოქტომბერი  
ქალაქი ხაშური

### ქ. ხაშურის ტერიტორიაზე ამორტიზირებული ხეების მოჭრა-გადაბეღვის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 16-ე მუხლის მე-3 პუნქტის და 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე

1. სატრანსპორტო საშუალებებისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის მიზანშეწონილად ჩაითვალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ქალაქ ხაშურის ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული ხეების მოჭრა-გადაბეღვის სამუშაოების ჩატარება უსაფრთხოების წესების სრული დაცვით დანართი N1-ს შესაბამისად და წარმოქმნილი საშეშე მერქანი განაწილდეს სოციალურად შეჭირვებული რიგ მოქალაქეებზე;
2. ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურმა უზრუნველყოს საშეშე მერქნის ტრანსპორტირებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საჭირო დოკუმენტაციის გაცემა;
3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსების კომისიას;
4. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად;
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქ. №2) ხოლო შემდგომ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ხაშური, კოსტავას ქ. №15).

საკრებულოს თავმჯდომარე



დ. ლომიძე

ქ. ხაშურის ტერიტორიაზე ამორტიზირებული ხეების მოჭრა-გადაბეღვის შესახებ

ქალაქის ტერიტორიაზე ქუჩების დასახელება	მოსაჭრელი			გადასაბეღი				
	კანადური ვერხვი	ფიჭვი	სულ	კანადური ვერხვი	აღმოსავლეთის ჭადარი	კანადური ნეკერჩხალო	ფიჭვი	სულ
რუსთაველის ქ.	7	8	15	3	1	-	-	4
თევდორე მღვდლის ქ.	1	-	1	-	-	-	-	-
თამარ მეფის ქ.	-	1	1	-	-	-	-	-
გორის ქ.	-	1	1	-	-	-	-	-
კოსტავას ქ.	-	1	1	-	-	-	-	-
ლესელიძის ქ	-	-	-	1	-	-	-	1
სააკაძის ქ.	2	-	2	-	-	-	-	-
ტაბიძის ქ-ზე „სასეირნო ბაღის“ ტერიტორია	-	-	-	-	-	4	-	4
<b>სულ</b>	<b>10</b>	<b>11</b>	<b>21</b>	<b>4</b>	<b>1</b>	<b>4</b>	<b>-</b>	<b>9</b>